

აქტივის უსასყიდლოდ გადაცემის დაბეგვრა 2635

ფაქტობრივი გარემოებები

შპს „X“ -მა 2017 წლის მარტის თვეში 200 000 ლარად შეიძინა მსუბუქი (8703) ავტომობილი. აპრილის თვეში საწარმოში მიმდინარე საგადასახადო შემოწმებით დგინდება, რომ მარტში შეძენილი ავტომობილი უსასყიდლოდ გადასცა საკუთრებაში ფიზიკური პირ „Y“-ს, რომელსაც არ გააჩნია გადასახადის გადამხდელის მოწმობა. პირებს შორის სსკ-ის მე-19 მუხლით დადგენილი ურთიერთდამოკიდებულება ვერ დგინდება. ამასთან, გადაცემის მომენტში ავტომობილის საბაზრო ფასი 250 000 ლარი იყო.

საწარმოს აღნიშნულ ოპერაციაზე საგადასახადო ანგარიშგება არ განუხორციელებია.

შეფასება

სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა.

ამასთან, ამავე კოდექსის 98³ მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით არ იბეგრება უსასყიდლოდ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, როდესაც უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების გადაცემა, საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის შესაბამისად დაბეგვრილია გადახდის წყაროსთან.

სსკ-ის 97-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 98¹-98⁴ მუხლებით გათვალისწინებული გადახდების/განაცემების არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრება მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასით.

უსასყიდლოდ გადაცემული საქონლის ღირებულება 250 000 ლარის ოდენობით ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაკავებას და 20%-იანი განაკვეთით დაბეგვრას.

ამასთან, ავტომობილის შესაძენად გადახდილ 200 000 ლარს და უსასყიდლოდ მიწოდებაზე დარიცხულ საშემოსავლო გადასახადის ხარჯს (ფინანსურად ხარჯია) მოგების გადასახადი არ დაერიცხება.

ღონისძიებები

საწარმოს დაერიცხება საშემოსავლო გადასახადი და დაჯარიმდება სსკ-ით დადგენილი წესის შესაბამისად.

➤ სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება შემთხვევას, როდესაც შპს „X“ მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით

ანოტაცია
„აქტივის უსასყიდლოდ გადაცემის დაბეგვრა“ №2635
სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს აქტივის უსასყიდლოდ გადაცემისას აღნიშნულის შესაბამისი გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, შპს „X“ -მა 2017 წლის მარტის თვეში 200 000 ლარად შეიძინა მსუბუქი (8703) ავტომობილი. აპრილის თვეში საწარმოში მიმდინარე საგადასახადო შემოწმებით დგინდება, რომ მარტში შეძენილი ავტომობილი უსასყიდლოდ გადასცა საკუთრებაში ფიზიკური პირ „Y“-ს, რომელსაც არ გააჩნია გადასახადის გადამხდელის მოწმობა. პირებს შორის სსკ-ის მე-19 მუხლით დადგენილი ურთიერთდამოკიდებულება ვერ დგინდება. ამასთან, გადაცემის მომენტში ავტომობილის საბაზრო ფასი 250 000 ლარი იყო.

საწარმოს აღნიშნულ ოპერაციაზე საგადასახადო ანგარიშგება არ განუხორციელებია.

სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა. ამასთან, ამავე კოდექსის 98³ მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით არ იბეგრება უსასყიდლოდ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, როდესაც უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების გადაცემა, საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის შესაბამისად დაბეგრილია გადახდის წყაროსთან. სსკ-ის 97-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 98¹-98⁴ მუხლებით გათვალისწინებული გადახდების/განაცემების არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრება მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასით.

უსასყიდლოდ გადაცემული საქონლის ღირებულება 250 000 ლარის ოდენობით ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაკავებას და 20%-იანი განაკვეთით დაბეგვრას.

ამასთან, ავტომობილის შესაძენად გადახდილ 200 000 ლარს და უსასყიდლოდ მიწოდებაზე დარიცხულ საშემოსავლო გადასახადის ხარჯს (ფინანსურად ხარჯია) მოგების გადასახადი არ დაერიცხება.